კვირა 6 მარტი 1916 წ. ფასი 12 კაპ.

რედაქციის ადრესი: ტფილისი, ოლღას ქუჩა № 6.

ეშმაკის მათრახი

იუმორისტ. ჟურნალი

№ 10

ფედერალისტების დროშა



სამსონი და თევდორე. (შეშინებულნი) მაგრათ მოსწით, მაგრათ ხომ ჩ დაკთ, როგორ ჩვენ როგორ ვწევთ, ვაი თუ მართლა აიწიოს!

კიტა და გერონტი. (არხეინათ) ფიქრი ნუ გაქვთ! გინდათ—ათი უღელი კამეჩი ლაუბით, ოდნავათაც ვერ დასძრავთ, ისე გვიჭირავს.

გაზაფხულის რითმები.

(ავტორი სასტიკათ უკრძალავს „ცისფერ ყანწებს'' ამ ლექსის გადაბეჭდვას)

კვლავ გავხდი ღირსი, გაზაფხულო, შენი ნახვისა,
მაგრამ ვის ვანდო, ბროლ-ზურმუხტო, მითხარ, ახ, ვისა,
ეს საშინელი ქარავანი ფიქრთ და ზრახვისა?..
დღეს ნატამალიც ვერ ვიშოვე ვერსად ხახვისა!

გამოიდარა კვლავ ბუნებამ და იმ დარით მან
თოვლის ბალიშს ქვეშ აამღერა ჩქერი, დარითმა...
გულის სატრფომაც გადიყარა მხრებზე შავი თმა...
კატა შემიწვა მზარეულმა ჩემმა, დავითმა!

გულზე რომ სევდა მომწოლია, სადაურია?
ბედმა ჩემ ღიმილს ცხარე ცემლი რად აურია?
ვგოდებ და მოვსთქვამ, ვით ბაბილონს მოშა ურია...
სად გაგონილა ზაქის ხორცი ცხრა შაური?

თავს ვერ დავახწევ, გადამიტანს კაეშანთ ურდო,
მარად თან მახლავს აბეზარა, ვით ძველი სურდო,
დღეს რად გაცივდა სისხლი ძარღვში, გუშინ რომ ჰხურდა?..
ახ, სად ვიშოვო წვრილი ფული, მანათის ხურდა?

ასეთ განსაცდელს სიკვდილი სჯობს, სჯობს აგონია...
დე, ფერიებმა ვარდი ჰშალონ და აგონ ია,
მე, სატრფოვ, მაინც თავს მოვიკლავ, მა რა გგონია?..
ექვს-ექვსი სხედან... გაჭედილა მთლად ვაგონია!

თუმცა ზურმუხტათ ხავერდდება, დახე, ვიშ, ველი,
და ჩემი სატრფოც ისე შვენის, როგორც მთის შველი,
მაგრამ, კეკლუცო გაზაფხულო, შენ ვერ მიშველი...
ტანისამოსი დამიძველდა, დავრჩი შიშველი!

ჰა, დავივიწყე რომანტიზმი: ჰჷგო, შუმანი,
ჩვენს ფუტურისტებს მივაპყარი ფიქრი, გუმანი:
ოჰ, რა კარგია მოხარშული აბასთუმანი!..
წყვილ ფეხსაცმელში როგორ მივსცე ოთხი თუმანი?

აჰა, გავშიშვლდი, ვიგრიხები და ვიკვანწები,
რითმებს დავეძებ, ხელთ მიჭირავს... ლურჯი ყანწები!..

თაგუნა.



გოზინაყი.

გამოვიდა ,,ცისფერი ყანწები''.

თავში გვაშტიბელი **პაოლო** (თუ ვენეციელი იაშვილი?) ,,პირველთქმით'' მიმართავს ,,საქართველოს მგოსნებს, ყველა მეოცნებეს, ქართველ ხალხს'' და აუწყებს, რომ ის (გვაშტიბელი პაოლო) და მისი **ძმები,** რომელთა ვინაობა ჩვენ არ ვიცით, ,,მრავალთა სასიკვდილოთ მოვლენიან'' ,,ბინძური მზით გამთბარ საქართველოს ლანდურ(?) არსებას'' კოცონის დასანთებათ და ყოველგვარ ორგიების ანუ უმსგავსოებათა საწარმოებლათ. მას (გვაშტიბელ პაოლოს) და მის ძმებს განუზრახავთ საქართველოს უსაზღვრო ქალაქათ გარდაქმნა, გაუგებარისა და საოცარი სიტყვების'' შექმნა, ,,ქალების ვნებიანათ სიყვარული'' და ,,დაუზოგავათ მრავლება ხალხისა''. ამ მიზნის მიღწევაში როგორც ირკვევა, ,,პირველთქმის'' ბოლოს, გვაშტიბელ პაოლოს და მის ძმებს ხელს უშლიან ვიღაც ,,საჭურისები და ხმა დაკარგული მომღერლები'', რომელთაც ისინი სასტიკ ბრძოლას უცხადებენ და ერთხმათ უკივიან, ,,არული, არულიო''!

შუაში გრიგოლ რობაქიძეს თავი ზღვის სირენათ წარმოუდგენია, გაუტიტვლებია თვისი ,,მაგარი ტანი'', გაწოლილა ტალღებზე და ვიღაც ,,ვრცელი ვაჟი'' ჩაუხუტებია. მიუხედავათ ვაჟის ,,სივრცისა'' (და, უნდა ვიფიქროთ სიმძიმისაც) არც გრიგოლი და არც ვაჟი არ ჩაძირულან, რაიცა სავსებით ბ. გრიგოლის სიმსუბუქით უნდა აიხსნას.

შემდეგ ქ-ნ(?) ელენე დარიანს უკანასკნელი ტანსაფარიც(!) კი გაუხდია, დაწოლილა და გადაუგდია ფარჩის საბანი. ამ დროს მას მიპარვია კატა და ქიპი მოულოკავს ვარდისფერ ენით. ელენე დარიანს კატის ლოკვა ვაჟის დორბლიან კოცნათ მიუჩნევია და ვნებისაგან მუხლები მოღუნვია.

დასასრულ აკაკი ფაღავას ჩინებული ძღვენი დაუმზადებია ქართულ თეატრისათვის, ,,თვისი სურვილი'' მაგრამ ამ სურვილის არსს მთელი ერთი გვერდის სივრცეზე უმალავს საზოგადოებას.

ხოლო სულ ბოლოს, ვინმე ტ. ტაბიძე, რომელიც, აშკარათ ეტყობა, გრ. რობაქიძის ლაქია უნდა იყოს, ,,სრულიად სერიოზთლათ'' ეროვნულ რენესანსის სადღეგრძელოს სვამს ,,ცისფერი ყანწებით''.

ახლა არა გვცალიან და თუ დრო დაგვირჩა, შემდეგ ნომერში უფრო დაწვრილებით გავაცნობთ მკითხველს ,,ცისფერი ყანწების'' ,,რაობას''.

წერილი რედაქციის მიმართ

მოწყალეო ხელმწიფევ. უფალო რედაქტორო!

თქვენი პატივცემული ჟურნალი ერთად ერთი ორგანოა, რომლისთვისაც „НѢСТЬ ЭЛЛИНЪ, НИ ІУДЕЙ" (იძულებული ვარ უცხო ენას მივმართო, ვინაიდან ეს სიტყვები წმ. სახარებისა გახლავთ, ხოლო სახარება, როგორც მოგეხსენებათ, ჯერაც არ არის რუსულიდან ნათარგმნი). თქვენ თანაბარის დაუნდობლობით ჰგესლავთ ყველას ვინც ამის ღირსია და სწორეთ ეს გარემოება მაბედვინებს თქვენ ჰერქვეშ თავის შეფარებას მიუხედავათ იმისა, რომ ვიცი—მასპინძლები ჩემს მსოფლ. მხედველობას არ იზიარებენ.

დარწმუნებული გახლავარ, ჩემი თანამოაზრეები მისაყვედურებენ, როცა ამ წერილის საგანს გაიცნობენ: „რა დროს ამაზე წერააო, მეტყვიან ისინი, როდესაც მთელი ჩვენი პარტია და ყოველი გულწრფელი წევრი ამ პარტიისა ვალდებულია თავისი გონება და გულის ყური ქართულ კლუბის არჩევნებზე მომხდარ უბედურებაზე შეაჩერონ სავსებით და ხანგრძლივო".

მე ვეთანხმები ჩემს პარტიულ ამხანაგებს: თავ. მ. ჭავჭავაძის მამასახლისათ გასვლა ჭეშმარიტათ დიდ უბედურებას შეადგენს სოციალ-ფედერალიზმისათვის, მისი გამარჯვება მიუხედავათ ჩვენ ძალთა სრულათ დარაზმვისა და მობილიზაციისა რაღაც საარაკო მარცხათ უნდა ჩაითვალოს... ეჭვი არ არის აქ ჩვენ, ფედერალისტები, დავმარცხდით, და ეს დამარცხება იმდენათ უფრო სამწუხაროა, რამდენათ უფრო მოულოდნელი იყო, მაგრამ... მოისმინეთ, ამხანაგებო, ჩემი „მაგრამიც":

არასოდეს მარცხდება ის, ვინც არ იბრძვის! ხოლო ვინ გამოჩნდება უტიფარი და იტყვის, ქართველ სოც.-ფედერალისტთა პარტია კლუბის არჩევნებზე არ იბრძოდაო? ვინ არის კადნიერი და გაჰბედავს იმის უარყოფას, რომ ჩვენი მწყობრი გამოსვლა კლუბის ასპარეზზე იყო პირველი ნამდვილი პოლიტიკური იერიში, მძაფრი და შეგნებუ-

ლი, რომლის წმინდა მიზანი ჩვენი სასიქადულო საზოგადოებრივი დაწესებულების ბნელ ძალთაგან დაცვა იყო? და თუ მაინც დამარცხდა ჩვენი პარტია და გაიმარჯვა „საქართველომ“, დეე, იცოდეს ამ უკანასკნელმა, რომ ეს მისი გამარჯვება პიროსის გამარჯვებასაც ვერ შეედრება და, რომ მოვალს ჟამი და აწვე არს, ოდეს ჩვენი ალამი აფრიალდება თავისუფლათ ეროვნულ კლუბის ბჭეთა ზედა!

და რაკი ასე სდგას საკითხი, მე გულდამშვიდებით მოვისმენ ჩემ თანამოაზრეთა საყვედურს და გადავალ ამ წერილის საგანზე, რომელიც, შეიძლება მთელი პარტიის დამარცხებასთან შედარებით დიდმნიშვნელოვანი არ იყოს, მაგრამ თავისთავათ ფრიად საყურადღებო და საგულისხმიერო გახლავთ.

მე მოგახსენებთ ჩვენი წ. კ. ს—ის საქციელზე, რომლის შესახებ „სახ. ფურცელშიაც“ იყო მოთავსებული ოციოდე წერილი.

დღეს ყველასათვის აშკარაა, რომ წ. კ. საზოგადოება მარქსიზმის გზას დასდგომია და მტკიცეთ მიაქანებს ერს გადაგვარებისა და ეროვნულ გახრწნილობის უფსკრულისაკენ.

საკმაოა მოიგონოთ ზემოხსენებულ საზოგადოების გამგეობის დადგენილება, რომლის თანახმათ უნდა გამოიცეს ბ. ლალიონის მარქსისტული მოთხრობები, ბ. ქუჩიშვილის მიერ გალექსილი „კაპიტალი“, ბ. კალანდაძის სოციალ-დემოკრატიული ასტრონომია და თქვენ წინ ფართედ გადაიშლება სურათი ზემოხსენებულ საზოგადოების მუხანათობისა.

მაგრამ რა არის ყოველივე ეს იმასთან, რაც მე წ. კ. საზ—ის გამომცემლობითი მოღვაწეობაში აღმოვაჩინე?!

ვინ იყო თქვენის აზრით, ბ. რედაქტორო, განსვენებული იაკობ გოგებაშვილი?

ვიდრე თქვენ მიპასუხებდეთ, დაგასწრობთ და მოგახსენებთ:

იაკობ გოგებაშვილი იყო წმინდა წყლის მარქსისტი და მისი „დედა-ენა“, რომელსაც ოცი ათასობით ბეჭდავს ხოლმე ყოველწლივ „წ. კ. საზ.“, არის ყოველად საშიში სახელმძღვანელო, თავიდან ბოლომდე ს.-დემოკრატიულ აზრებით გაჟღენთილი!

მაგალითისთვის შორს წასვლა არ დაგვჭირდება. აიღეთ აურჩევლათ რომელიმე მოთხრობა ან ლექსი „დედა-ენისა“, აი, თუნდ ცნობილი „მზეო ამოდი“.

„მზეო, ამოდი, ამოდი,
ნუ ეფარები გორასა!
სიცივეს კაცი მოუკლავს,
საწყალი აგერ გორავსა!“.

რა არის ეს, თუ არ გალექსილი რეზიუმე „კომუნისტურ მანიფესტისა?

გაგონილა ასეთი ურცხვი და უტიფარი აგიტაცია საბავშო სახელმძღვანელოს საშვალებით?

ამ ლექსს ხომ თვით კარლო ჩხეიძეც სიამოვნებით მოაწერს ხელს ამ წუთშივე, მიუხედავათ იმისა, რომ ავადმყოფობის გამო, შეიძლება კალმის დაჭერაც უჭირდეს?

ხოლოდ გონებით ბრმა და ბუნებით ჩლუნგი ტვინის ადამიანი ვერ მიხვდება, რომ ის მზე, რომლის ამოსვლასაც ნატრულობს პოეტი, არის მზე **ინტერნაციონალურის** (და არა ნაციონალურის, რადგან მზე, სამწუხაროთ, ყველა ეროვნებისათვის ერთია) სოციალიზმისა!

ხოლო რა არის „გორა“, ამ „მზეს“ რომ „ეფარება“? რა თქმა უნდა, მარქსისტებისათვის საზარელი „ეროვნული კედელი“, ეროვნული, გორა, რომელიც მათდა სავალალოთ ხელს უშლის ერთი ერთის მეორეში გათქვეფას.

„სიცივეს კაცი მოუკლავსო!“ **პირ**ველი შეხედვით ეს სტრიქონი ყოვლად უწყინარი და უმანკოა: კაცი სიცივეს მოუკლავს, რა არის აქ ეჭვმისატანი... მაგრამ რა კაცია ეს კაცი? შემდეგი სტრიქონი გვაძლევს ამის პასუხს: „**საწყალი** აგერ გორავსაო!“ ხაზგასმული სიტყვა „საწყალი“ ადვილათ ხსნის ყველაფერს: საწყალი, ღარიბი, ღატაკი, უსახლკარო, პროლეტარი—ეს სიტყვები სინონიმები გახლავთ და აშკარაა, რომ აქ სწორეთ პროლეტარი ჰყავს სახეში ავტორს.

მაშასადამე იმ „სიცივეს“ მაგიერაც ეროვნული თვით-შეცნობა უნდა ვიგულისხმოთ და არა ჰაერის ტემპერატურის ძირს დაშვება.

როგორც ჰხედავთ, მთელი ლექსი ოსტატურ შიფრით დაწერილ ს-დემოკრატიულ მოწოდებას წარმოადგენს და ეს შიფრი რომ დავხსნათ, შემდეგს ამოვიკითხავთ:

სოციალიზმო, განხორციელდი, განხორციელდი,
ნუ ეფარები ეროვნულ კედელს!
ეროვნულ თვითშეცნობას კაცი ზნეობრივათ მოუკლავს,
ეს კაცი პროლეტარია და აგერ გორავსა!

რა ვუწოდოთ ამას? დაცინვა ნორჩი თაობისა, მთელი ერის მომავალის აბუჩად აგდება, უტიფრობა თუ გარყვნილობა?

ყველა ერთად!!!

დიახ, ყველა ერთად!!!

და აი მე წინადადება შემომაქვს: 1) დაუყოვნებლივ მოისპოს „დედა-ენა“, და აეკრძალოს კვლავისთვის მისი გამოცემა ქ. შ. წ. კ. გ. საზ—ისა.

დასასრულ, წინდაწინვე მადლობას მოგახსენებ, ბ. რედაქტორო, იმ სტუმართ მოყვარეობისათვის, რომელსაც, მრწამს, თქვენი ჟურნალი, ამ ჩემი წერილის შამართ გამოიჩენს და

დავშთები თქვენი ერთგული მონა

ერთი ფედერალისტთაგანი.

ვამოწმებ, რომ ბ. „ერთი ფედერალისტთაგანი“ ყველას მიერ პატივსაცემი მეთაურთაგანია ს. ფედერალისტების პარტიისა და თუ თავის ვინაობას არ ამჟღავნებს, ეს მხოლოთ მის თავმდაბლობას და სიმორცხვეს ამტკიცებს, რადგან სახელის მოხვეჭას გაურბის და როგორც სჩვევია, უხმაუროთ აკეთებს საქმეს. კერძო წერილში ბ. ერთი ფედერალისტთაგანი“ გვპირდება „სახალხო ფურცელში“ ძალიან ადრე ამ საკითხის შესახებ რამდენიმე წერილს მოვათავსებო. ჩვენი მკითველი მოუთმენლათ მოელოდება ამ სენსაციურ წერილების დაბეჭდვას.

თაგუნა.

ზღაპრული დრო

ზღაპრული სიძვირე,
ზღაპრული ვაჭრობა,
ზღაპრული ღალატი,
ტყავისა გაძრობა.

მტანჯავს და ცრემლებს მგვრის
ხალხისა წუხილი,
სულის და გულისა
საზარი დუღილი.

მტანჯავს და მაშფოთებს
მის გმინვა ქუხილი,
მაგრამ კი მაოცებს
ზღაპრული დუმილი.

ჯერ არვის უცდია
ამგვარი დროება.
ამგვარი სიცოცხლე
ამ გვარი ცხოვრება.

ჯერ მომსწრე არ არის
ასეთი ამბისა,
თავით და ფეხებით
მახეში გამბისა.

და მიტომ დღეს გვმართებს
გაჭყეტა თვალების,
ძებნა და მოპოვნა
დამხსნელი კვალების.

და მიტომ ჩვენ უნდა
მივიღოთ ზომები,
რომ მტერთა კლანჭების
არ გავხდეთ მონები.

მაშ, ყველა ვეცადოთ,
ავმაღლდეთ სულითა,
უძლეველ აზრით და
მედგარი გულითა.

მაშ, ყველამ შევიგნოთ
ჩარჩების მძლეობა,
ჩვენც გამოვიჩინოთ
ზღაპრული მხნეობა.

ჭაგნელი ბზიკი

პატარა ფელეტონი

გულუბრყვილოს დღიურიდან.

...„მეც მართლა არ მეგონა, რომ ეს სიძვირე და ყველაფრის უშოვნობა უფრო ვაჭრების ბრალია! თურმე რა არის, აქ ვაჭრები არაფერ შუაში არიან! რის გამდიდრება, რის ჯიბის გასქელება! საწყალი ვაჭრები, თურმე, თვითონაც შიმშილითა წყდებიან! საქველ-მოქმედო წარმოდგენა მაინც გაუმართონ ი უბედურებს! თუ ფქვილსა და სანოვაგეს მალავდენ და სჩქლამავდენ, თურმე რა არი, ჩვენ ჯარს უფრთხილდებოდნენ და სულ აზრურუმში გზავნიდნენ.

—„მა როგორ გინდათ მოვიგოთ ომიო? გვეუბნება ხატისოვი — „ცოტა მუცელი მოიოკეთ, რომ ყველაფერი თავის კალაპოტში ჩადგესო! გირვანქა ხორცი ისევ 13 კაპიკი გახდება, პური—3 კაპიკი. მაუდი და შალი—არშინი ორი მანეთი და ყველაფერი ძველებურათ წავაო!“

ხო და, მართლაც რა არი, რა მსუნაგობაა?! ერთი—ორი დღე ველარ მოუთმენიათ, საწყალი ვაჭრები, სუ იმათზე კი ვტეხავდით ჯოხსა! მე დარწმუნებული ვარ, მილოვ-ადელხანოვსაც ასე ტყუილათ დასწამეს ცილი! ვინ იცის, ის საცოდავებიც ჩვენი ჯარისთვის ზრუნავდნენ, აზრუმისთვის აგროვებდნენ მაუდის ნაჭრებს და, მადლობის მაგიერ, ციხეში კი ამოაყოფინეს თავი! ღმერთო! რამდენი ალალ-მართალი იწვის ჩვენს დროში უბრალოთ! ხვალვე უნდა წავიდე „უპრავა“-ში და ხატისოვი გავიცნო.

ნ. აზიანი.

მარკოზა და ესიკა

(გურნჯი სცენა)

დილა მშვიდობის, ესიკავ! რავა ძვილათაი ითქვამ, ბიჭო, სულს ხიაპაიან ჭუჭულსათვით, სურდუ ხომ არ გიჭირებს?—ღმერთმა გაგიმარჯოს ჩემო მარკოზა, სურდუც კი მჭირს და ვოფოლენციეც. ვოფოლენციე კი არა სული რაფერ მიდგანა არ გიკვირს, რაც გაჭივრება მე გადამწყდა წუხელ-ღამეს? მდიდარი და წელ-გამართული არცა როის არ ვყოფილვარ, მარა ასე თლათ დასაწყლებულიც არ ვყოფილვარ. გადასაყუდრი ქოხი რომ მომცა მაინც, აფერს არ ვჩივი. ჩემს სახლში დათვი გაძვრება კედლებში, აბა, სახურავი სულ აღარ აქვს: რომ დავწობი გულ აღმა ღამე ჩემს ქოხში ვარსკვლავებს ვითვლი ცაში, ისე მოჩანა სახურავში ყოლიფერი. წროულს ისლის წაფარება მინდოდა, მარა ვეფერი ვერ გავახერხე, დავაყარე ისთევლე ერთი ასი კონა ღომის ჩალა, მარა რომ იბძგვინა ქათმებმა სარჩხინავში, სულ ბუქნას შობოდენ ერთ კვირეს და ყველაი ძირს ჩამეიტანეს. ხო, იმას ვამბობდი... მუშინ საჩალავში ვიყავი, ადრე მინდა ყანას მოვკიდო ხელი. აი ბაღნები ქე შამომეცალა, ყველაი ჩხუბშია და თუ პაწაი ადრე არ დევიწყე ყანა, ვეღაფერს ვერ მუვასწრებ. საღამოს შევკარი ერთი ჭვირთი შეშა და ჩამევიტანე სახლში, ქალმა, მატრონიამ ჭადი და ლობიე დამახვედრა, დევიხეფსეთ, დანარჩენი ფინჩხები ჩემს ძაღლს, მურიას წუუყარე, დავახეფსე იგიც. მერე—„გარეთ გადი ძაღლო“ მეთქი, შუუძახე, სწკვერტ და ქე გევიდა კედელში. სულელი იქნება კარებ ეძებოს. სანამ კართან მივიდოდეს, აგერ გუუხტებ ხან ერთ კედელში, ხან მეორეში. დავწევით მერ და იგი იყო მელულებოდა თვალი, რომ ამოვარდ საშინელი ქარი, დუუბერა ჩვენს სახლს და შეიქნ ერთი ზუზუნი, სისინი, ფშვიტინი კედლებში, საბა ნი ქე გადაგვაღლიტა თავზე, დეიწყო ჩემმა მატ რონიამ მისი გაჩენა-დაბადების და შვამაულის წყევ ლა: „ღმერთო, რეიზა გამაჩინე, ღმერთო რეიზ მომიყვანე ამ დღემდი, ღმერთო ცეცხლი და თაკარაი გუუჩინე ჩემ შვამაულსო.—ბეჩა, ვუთხარი რას იწყევლები, ჩვენზე ვარეს გასაჭირშიც კი არიან ქვეყანაზე, რა იქნა მეთქინ.—ჩვენზე უფრო გაჭირებული ვინღა არისო, შემომიკლაპუნა.—ვინ არი მეთქინ და—აი, ვაინში ხალხი რომ არის, ბალ

კარტებში, იგენი ვარეს დღეში არიან მეთქინ.— გინდა ბალიკარტებში ყოფილხარ და გინდა ჩვენს სახლშიო.—ხო და, თუ ასეა, ვითამ ჩვენც ბალიკარტებში ვართ, ისე წარმევიდგინოთ ახლა, წუწუწვეთ და წუუყრუოთ მეთქინ. ჩევეხუტეთ ერთმანეთს და ჩავწევით ორივე პირჩალმა, ვითამ მართლა ბალიკარტებში ვიყავით, ისე ვფიქრობდით. შეჩერდა უცებ ქარი, მევითქვით სული, ახლა თავზე სახლის დანტროვის აღარ მეშინოდა, გადმოვბრუნდით გულ-აღმა, მარა შენს ტერს იმისანა. წამოურტყა, მარა რა წამოურტყა წვიმამ! სათ გინდა ახლა რომ წახვიდე, სათ იშონი გადასაყუდრებელს. დეიწყო მატრონიამ მალაზონივით კიდო წყევლა. წამოდგა, თუ სამე კი ქონდა ტაშტი, კარდალი, კაპჭანაი, ქოთანი, საინი, ჯამი ყველაი მოწკაპა სახლში, ზოგი ეგერ შუუდგა წვიმას, ზოგი აგერ, მარა რა უუთავდებოდა? რავარც გარეთ, ისე წვიდა შითაც. ჩამოარიგა თუ არა აგი ქირქლები, შეიქნა სახლში რიკინ-რიკინი,—სულ სხვა და სხვა ხმაზე უკრავდა ტაშტი, ქვაბი, კარდალაი, კაპჭანაი, საინი და ჯამი. რომელი ბუზიკა ან არღანი შეედრებოდა იგენს? ქუთეისის სობოროს ზარებსავით რეკავდენ. მატრონიეს შემეშინა, თვარა ისე ამიცეკვდა ფეხები, რომ ერთს ჩამუუვარდი ცეკვით ბუქნას. მევიხურე საბანი ანაფორასავით და გავჩერდი კუთხეში ჩვენ ხუცესსავით, დავაქედი ჩემს ტანისამოსს მოქვასავით, არ დამისოლდეს მეთქინ. სწორეთ რომ ბალიკარტებში ვიყავით, მარა იქინე ყოფვა კიდომ ჯობს, იქინე მაინც ერთ ჯერ მოკვტები კაცი, როიცხა მოგხთება ტყვია და აქანაი წელიწადში ასჯერ მოვკტები... რავარც იქნა გავათენეთ თეთრათ მე და მატრონიამ აგი ღამე. დილას ადრე ქურქლები დავცალეთ და ცეცხლი მოვაპუჟუნეთ. იგი იყო საუზმე უნდა მექამა, რომ წყეული ექვთიმელაის ხმაი გევიგონე. მაშინათე ვიცანი, ქალს ვუთხარი, შენ უთხარი, შინ არ არის თქვა, მე გამოვხტი გარეთ, გევიხედე, დუუკავებია ხელში სამოცდა ორ სანტიმეტრიანი*) ჩემი ვექსილი და მომადგა კარზე. დევიხი უცებ უკან და ფაცხის უკან კავმაგრდი. როცა დევინახე შინ გაბრუნდა ცოტა წინ წამოვიწიე. იგი იყო უნდა დამეკავებია ისთევლე ჩემი პოზიცია, რომ მეორე მევიდა, სამოც სანტიმეტრიან ვექსილით. დევიხი, კიდევ უკან და სასიმინდის უკან გავმაგრდი.—არა, როგორც ვხედავ, მალე მომიწევს ერიში, ხელ-ჩართული ბრძოლა და ვინ იცის ვინ გეიმარჯვებს. თუ გევიმარჯვე იგია, თუ არა და გადამახთიებს ექვთიმე შეჩვენებული სამოცდა ორ მანეთს კონტრიბუციას.

შვიდობით, მარკოზა, მოგაცთინე კაცი, ახლა ორი ნაპირი გექნებოდა მოჩალული.

ლუკაიეს ობოლი.

---

*) სანტიმეტრი უდრის ერთ მანათს.

შარადა

ნუ გამიწყრები, მკითხველო,
რომ ლექსი ცოტა გრძელია,
და რომ მასთანვე შარადაც
ადვილი ასახსნელია.

—

ის მხედრობაში მსახურებს
მიღებული აქვს ფიცია,
რომ ჯარს უკლებლად აძლიოს
საზრდო და ამუნიცია.

თორემ თუ ფიცი გასტეხა,
ელის სასჯელი დიდია,
(ბევრი მომხდარა რუსეთში
ამგვარი მაგალითია).

მისი სახელის თავიდან
ჩვენ ოთხი ასო გვპირია,
ჩამოვსჭრათ იგი და სხვისგან
უკუვიქციოთ პირია.

ვინაც პირველად სწერია
ქართველ მეფეთა სიაში
და ქვაბში განძის პოვნითა
ცნობილ არს ისტორიაში;

ვისაც აწერენ ჩინებულ
სამხედრო ნიჭის ქონებას,
და მასთანავე მხედრული
ანბანის გამოგონებას,

ჩვენ მისსა სახელს მარცვლებად
დავყოფთ და დავანაწილებთ
მარცვალს მეორეს დავსტოვებთ
სხვებს წავშლით ჩამოვაცილებთ.

იქვე მივაწერთ ერთ ასოს
(უშრომოდ უძებლნელადა)
ქორონიკონში რომელიც
ოცჯერ ასს იტყვის მთელადა.

ქართველ მოღვაწის საქმიანობა



დილიდან საღამომდე.

მაინც არ შესდგა შარადა,
ჯვლავ ითხოვს მიმატებასა,
ჩვენაც ამ მიზნით გადავშლით
ძველ წიგნსა დაბადებასა.

იქიდგან გვინდა სახელი
ჩვენ ერთი ებრაელისა,
წინასწარმეტყველად ცნობილის
ღვთისთვის უარის მთქმელისა.

(ამ ურჩობისთვის ღმერთმა ის
კიდეც დასაჯა დიდათა:
თევზის მუცელი მისცა მას
სამ დღე და ღამეს ბინათა).

მის სახელს სრულად გადმოვსწერთ
და სხვაგან გავეშურებით
(შარადას ვერას უშველით
მარტო ამ წიგნის ყურებით).

ეხლა რაც გვინდა ჩვენ იმას,
შევხვდებით სამჭედლოშია,
მრავალი ცხოველისათვის
იგი ძვირფასი ქოშია.

აქ დავიწეროთ იმ ქოშის
მეორე ნახევარია
და ჩვენსა კვლევა-ძიებას
მით დაედება ზღვარია,

მაგრამ ჩვენ თავსა ეხლავე
ვერ მივსცემთ დასვენებასა;
სჯობს, რომ საჩქაროდ შეუდგეთ
შარადის აშენებასა.

თავში დავსწეროთ პირველი
ნანახი შენაძენია,
მერმე მეორე, მესამე,
და ასე დანარჩენია.

ქართველ მოღვაწის საქმიანობა



საღამოდან დილამდე.

როდესაც მორჩეთ შრომასა
მზად გვექნეს ყველაფერია,
მერმე კი გადაიკითხეთ,
ნახეთ, რა დაგიწერია?

ვიშ რა დიადი ცნებაა,
რა აზრის გამომხატველი?!
ძმობა-ერთობით ერების
გადამკვანძ-გადამხლართველი.

მის წინააღმდეგ შეთქმულან
ყველა 'ძავ-ბნელი ძალები—
მაშვრალ ტვირთ მძიმეთ ხორცმეტნი,
ცხოვრების ნაძირალები.

და გააფთრებით ყოველ მხრივ
უტევენ მისსა ზღუდესა,
ლამობენ იგი სავსებით
წაიქცეს გადაბრუნდესა.

მას კი ოდნავაც ვერ აკრთობს
ურიცხვი მტრისა ძალია,
სწამს გამარჯვებას მოუტანს
ბრწყინვალე მომავალია.

კვახი.

სადღეისო დიალოგი.

მეგრელი და იმერელი, უსაქმონი—უადგილონი ერევნის მოედანზე სკამზე სხედან.

მეგრელი ქალაქის თვითმართველობის შენობას მისჩერებია და იცინის.

— რას იცინი ამხანაგო? დაეკითხა იმერელი.

— იცი რა? ამას წინათ ჩემმა ამხანაგმა ქართულ წარმოდგენაზე წამიყვანა. თამაშობდენ „ოტელოს“ ვინცხა... შავმა კაცმა ცოლი დაახრჩო...

ჰო და ფარდა რომ აიხადა, სცენა სულ ასე იყო მოწყობილ: მოედანი, დიდი სახლი... გამოვიდა ერთი კაცი, მივიდა სახლთან და დაიწყო ყვირილი: „ქურდები! ოჰ, ქურდები! ქურდები მეთქი“!..

— მერე რაო!

— რა და ახლა მეც მინდა, მივიდე „უპრავასთან“ და დავიყვირო: „ქურდები, ოჰ, ქურდები-მეთქი!

— იყვირებ და იმდენს გცემენ, სიგძე-სიგანეს გაგისწორებენ.

— რატომ, ჯიმა, ტყუილია თუ? არ არიან ქურდები თუ?

— მართალი რომაა ისინი „ტყუილად“ გადააქცევენ...შენ რა გეკითხება? შენს ტყავში დაეტიე.

— რატომ? რატომ დევეტიო ჩემს ქერქში? რუსის კანონი ხომ ყველასათვის თანასწორია?

— მერე?

— აქლემის ქურდი და ნემსის ქურდი ხომ ორივე ქურდებია?

— ასე ამბობენ, მარა საქმეში კი „ერთი“ არაა. შენ რომ ცხენს მოიპარავ და მილოვი და ადელხანოვი ერთ მილიონ არშინ მაუდს...

— მოიცა, სი კოჩი! ცხენის მოპარვა ვის გაუგონია? მოპარვა ის არის—რამეს აიღებ ჩუმათ, ისე, რომ არავინ დაგინახოს, ჩაიდებ ჯიბეში და წამოიღებ... თუ შენ მოგაქვს—მაშინ ხარ ქურდი... ცხენი-კი!..ზედ რომ შევჯდები—ცხენს მივყევარ... მაშასადამე ცხენი მე მიპარავს... რადგან იმას მივყევარ!..

— კარგი, მაგრამ ტყეში რომ მიიყვან და დააბამ?

— რომ არ დავაბა, ქე წამოვა თავის სახლში.

— ჰო და რომ დააბამ, იმიტომაც ქურდი ხარ. შენ თითონ ამართლებ მილოვს და ადელხანოვს. იმათ თავიანთი ხელით არც წამოუღიათ საქონელი და არც „დაუბამთ“. საქონელი დროგმა და ფურგუნმა წამოიღო. დროგზე დაუდეს მუშებმა, გადმოიღეს მუშებმა, მაღაზიაში ჩაიბარეს ნოქრებმა, გაჰყიდეს ნოქრებმა. მაშ ვინ არიან აქ ქურდები? მედროგეები, მუშები და ნოქრები! როცა საინტენდანტოს საწყობიდან დროგებით საქონელს ეზიდებოდნენ, მილოვი და ადელხანოვი „დუმის ზასედანიაზე ისხდნენ და იმაზე მსჯელობდნენ, თუ როგორ დაეხსნათ რუსეთი განსცადელისაგან.

— რუსეთის დახსნაზე ფიქრობდენ და ხა
ნას ქე ქურდავდნენ?

— მერე რა ვუყოთ? შენ რომ ოჯახში რ
მოიპარო და იმ სახლს ცეცხლი გაუჩნდეს ხომ მ
ეშველები ჩაქრობაზე? შენ ტყვილათ გიხარია, რ
ამხანაგები იშოვნე! ისე მშრალათ გამოვლენ
საქმიდან, როგორც ბატი წყლიდან.

— მაშ ვის დასჯიან?

— ვისა და ვისაც ფული არა აქვს. შენ რ
ცხენის ქუდობაზე დაგიჭირეს, ფული რომ გქონ
და ხომ არ დაგსჯიდენ?

— ფული რომ მქონდეს, რაღათ მოვიპარავ?!

— იმათ ფულიც აქვთ და მაინც იპარავენ..

— მერე არ რცხვენიათ?

— ჩვეულებაა! შენ რომ ეხლა ერთბაშ
გამდიდრდე, ხომ ვერ დაიშლი ცხენის ქურდობ

მეგრელს გააზმორა, ტანში ჟრუანტელმა
უარა, თავი ჩაღუნა და გაიცინა.

— დუმაში რომ კრესლოებში ისხდნენ, ხ
გასვარეს კრესლოები თავიანთი საქციელით?
უნდა გასწმინდოს ახლა?

— ვინა და ხატისოვმა!

ქაფური.

მოხსენება ხონიდან.

III

ინტერვიუ ქ-ნ ეკატირინე ბახტაძისასთან.

თქვენო უეშმაკებულესობავ! სანამ მოხსენებ
წერას შეუდგებოდე, ნება მომეცი ბოდიში მოვიხ
დო ქ-ნ ეკატერინეს წინაშე: ისა და მისი მეუღლ
ხონში პირველები ბრძანებულან და მე კი ინტერ
ვიუები სხვებისაგან დავიწყე, რითაც როგორც
ლა გამოირკვა, დიდათ მიწყენინებია მათთვის.

ქალ-ბატონი ეკატერინე მე შემთხვევით გა
ცანი ერთ ნაცნობის ოჯახში; მან შემოსვლისთან
ვე მიიპყრო ჩემი ყურადღება: დინჯათ, ოდნავ მ
ღიმარი სახით შემოვიდა იგი და მოწყალების გ
მომხატველი თვალებით გადახედა დამხთურთ; ერ
თი წუთით კარებში შეჩერების შემდეგ, ჯერ ყვე
ლას საერთო სალამი მოგვცა და შემდეგ კი, ჩა
მოართვა რა ხელი დიასახლის, ჩამოყვა სტუმრებ
ჩემი ჯერიც მოახლოვდა. მე, როგორც შეეფერ
ბოდა თქვენი უეშმაკებულესობის მოადგილე
სწრაფათ წამოვდექ, ჩემს საკუთარ ტანზე მიმოვ

ხედე,—ურიგოდ არა მქონდეს რა მეთქი და მოვემზადე.

— მათი უეშმაკებულესობის მოადგილე—აბი, ბეჯითის კილოთი წარუდგინე ჩემი თავი და ნაზად გამოწვდილ ხელზე მოწიწებით ვეამბორე.

— მაშ თქვენ ბრძანდებით აბი, გაიკვირა მან და ცბიერებით აღსავსე ღიმილის გამომხატველ თვალებით დამაცქერდა.

— სწორეთ, მე გახლავართ.

— ძლიერ სასიამოვნოა თქვენი გაცნობა, ძლიერ სასიამოვნო და ძალიან ვწუხვარ, რომ გაცნობისთანავე საყვედურის თქმა მიხთება.

— რა დამიშავებია, დიდათ პატივცემულო ქალბატონო, რით დავიმსახურე თქვენი საყვედური?.. მიბრძანეთ, ქალბატონო, და მე მზად ვარ დაუყონებლივ შევინანიო შეცოდებანი ჩემნი.

— ბევრი არაფერი, მაგრამ მაინც დააშავეთ, განაგრძო მან: თქვენ პირველი ინტერვიუ სხვას გაუკეთეთ და არა მე ან ჩემს ქმარს; ხონში პირველები მე და ჩემი მათე გახლავართ; რაც კი დაწესებულებებია ხონში—კულტურულია იგი თუ არა კულტურული—ყოველგან თავმჯდომარეთ ან მე ვარ, ან მათე. ხონის საურთიერთო საზოგადოების თავმჯდომარე და მმართველი მათეა; ამ დაწესებულებაში არ შეიძლება რამე გაკეთდეს მისი სურვილის წინააღმდეგ. მართალია არიან დირეკტორები, საბჭოს წევრები, მაგრამ ყველა ესენი მათეს სურვილის აღმასრულებელნი არიან. წ. კ. საზ. განყოფილების თავმჯდომარეც მათე გახლავს, მათეა აგრეთვე თავმჯდომარე კოოპერატიული ამხანაგობისაც. ზოგიერთებს ჰქონდათ ვერაგული განზრახვა ამ უკანასკნელში იგი არ აერჩიათ თავმჯდომარეთ, მაგრამ მათემ აქაც მოახერხა გამარჯვება: მან გამგეობის პირველს სხდომაზე, რომელზედაც უნდა აერჩიათ პრეზიდიუმი, სხდომის დაწყებისთანვე განაცხადა: „მე არ შემიძლია არც მდივნობა და არც ხაზინადრობა“. ამ განცხადებამ თავზარი დასცა მის მოწინააღმდეგეთ, მაგრამ რას იქმდენ,—იძულებული გახთენ აერჩიათ თავმჯდომარეთ.

ქალთა წრის თავმჯდომარე კი მე გახლავარ, დრამატიული წრის თავმჯდომარეც მე ვარ; ვარ აგრეთვე წევრი წ. კ. საზ. განყოფილების გამგეობისა. ამ უკანასკნელში ერთი წელი, თუ ცოტა მეტი, თავმჯდომარის მოვალეობასაც ვასრულებდი.

და აი, ბ-ნო აბო, ჩვენ გვერდი აგვიარეთ და პირველი ინტერვიუ სხვას გაუკეთეთ. უნდა გამოგიტყდეთ, რომ ეგ, როგორც ჩემთვის, ისე ჩემს მათესთვის, საწყენია.

— თუ მარტო ეგ არის ჩემი დანაშაული, ბოდიშს ვიხთი, დიდ ბოდიშს ვიხთი თქვენსა და თქვენს მათეს წინაშე და ვბედავ პატიება გთხოვოთ.

ახლა კი ნება მიბოძეთ აქვე გაგიკეთოთ ინტერვიუ.

— მე მზად გახლავარ. ქ-ნ ეკატერინეს მეტის მეტი სიხარულით სახე გაუწითლდა, თვალები გაუბრწყინდა და სმენათ იქცა.

— მაშ გთხოვთ მიპასუხოთ შემდეგ კითხვაზე: რას საქმიანობდა წ. კ. საზ. განყოფილება თქვენი თავმჯდომარეობის დროს?

— გამგეობამ ჩემი თავმჯდომარეობის დროს შეკრიბა 200 მანეთამდე საწევრო გადასახადი, გამართა აგრეთვე ბარე ორი საღამო, ერთი სეირნობა; როგორც საღამოებმა, ისე სეირნობამაც გვარიანი შემოსავალი მოგვცა.

— სხვა?..

— სხვა რა უნდა მოესწრო ერთი წლის განმავლობაში?!. გაიკვირა ქ-ნ ეკატერინემ და მხრები აიჩეჩა.

— ამ საზოგადოებას ხომ გარკვეული მიზანი აქვს: წერა-კითხვის გავრცელება. ნუ თუ არ ცდილხართ ამ მიზნის და გვარი რამე გაგეკეთებიათ?

— ჰმ... წერა-კითხვა... ხონში სასწავლებლები საკმარისია, ასე რომ აქ წერა-კითხვას უჩვენოთაც ავრცელებენ.

— მაგრამ ხომ შეიძლება ისეთებიც იყვნენ, რომელთაც არ შეუძლიათ სხვა და სხვა მიზეზების გამო არსებულ სკოლებში იარონ; მაგალითად ხარაზების, მჭედლების და სხვა ამგვართა შეგირდები. ხომ შეიძლებოდა, რომ ამისთანებისათვის საკვირაო სკოლი გაეხსნათ?

— შეძლებით, როგორ არა, მაგრამ ამისთვის სამწუხაროთ დრო არ მოგვრჩა. მეცა და ჩემი მათეც, როგორც უკვე მოგახსენეთ, თითქმის ყველა საზოგადოებებში და წრეებში ვართ თავმჯდომარეებათ; ამას გარდა ჩემი მათე ექიმი არის და ხომ მოგეხსენებათ ექიმის მოვალეობა. მაშასადამე ჩვენ ველარ მოვიცალეთ. ექიმი პოლიკარპე ჩხიკვიშვილია გამგეობის წევრი, მაგრამ ამისათვის დრო არც იმას მორჩა; იგი გამგეობის სხდომებზე დასასწრებლათაც კი ვერ იცლის. სხვისთვის ვისთვის უნდა

პასუხი

ი. ლულაძე. ორი თვეა ვწერ... რამდენი ქაღალდი დავანელე, მაგრამ პასუხი ჯერაც მზათ არ არის. პალმოვი და შიო შლინგი რომ ჩემთან იყვნენ სამსახურში, გაგიხარიან ადვილათ გავცემდი პასუხს: ხაშური და მისი ჯანი, მაგრამ...

მიგვენდო აბა საკვირაო სკოლის გახსნა და მოვლა,—მასიკოს ხომ ვერ მივანდობდით?!.

— შეიძლება სახალხო კითხვები მოაწყვეთ, ან ლექციები? ამისათვის არც ისე დიდი დრო იყო საჭირო.

— ვერც ეს მოვახერხეთ, ბ-ნო აბო. ადგილობრივათ, თუ დასელებს არ მივიღებთ მხედველობაში, რომელთაც ჩვენ არამც და არამც არ დავანებებთ წ. კ. საზ. განყოფილების სახელით ლექციების კითხვას, მხოლოდ ჩემი მათე ლეკტორობს; მან ამას წინეთ კიდეც განიზრახა ლექციის წაკითხვა, მაგრამ სამწუხაროთ მსმენელთა რიცხვი მეტად დიდი აღმოჩნდა, იმდენათ დიდი, რომ ადგილობრივმა თეატრის დარბაზმა ვერ დაიტია და ჩვენც იძულებული შევიქენით ლექცია გადაგვედო იმ დრომდე, სანამ სახალხო აუდიტორიას არ ავაშენებთ. რაც შეეხება სახალხო კითხვებს... ერთი სიტყვით დროს უქონლობა გვიშლის ხელს.

— ამ შემთხვევაში შეიძლება უკეთესი ყოფილიყო, რომ თქვენ და თქვენს მათეს ხელი აგეღოთ ზოგიერთ საზოგადოებათა თავმჯდომარეობაზე და გამგეობათა წევრობაზედაც?

— აბა ამას რას ბრძანებთ, ბ-ნო აბო?!. იწყინა ქ-ნ ეკატერინემ და ისეთი თვალები მიჩვინა, რომ მზად ვიყავ სადღაც შორს, შორს გადავკარგულიყავ, ოღონდ კი...

— უჩვენოთ სად რა გაკეთდება, ვინ გააკეთებს?!. ან ვინ ღნდა ავირჩიოთ სხვა?.. დასელები ხომ არა?.. ვერა, ბ-ნო აბო, დასელებს ჩვენ ერთგულათ ვერეკებით ყოველგვარ დაწესებულებებიდან. ამას გარდაც, ჩვენ შორის დარჩეს და, მე ერთი ავათმყოფობა მჭირს: თუ კი რაიმე არჩევნებია

და მე არ ამირჩიეს, ისტერიკა მომივლის, გული წამივა...

— ეგ საშიში ავადმყოფობა, საშიში,—გავაწყვეტინე მე,—და თუ ნებას დამრთავთ, მე მოგართმევთ უებარ წამალს. მართალია თქვენ ექიმის ცოლი ბრძანდებით, მაგრამ დარწმუნებით შემიძლია მოგახსენოთ, რომ ჩემ მიერ გამოგონილი და ეშმაკთა საექიმო სამმართველოს მიერ მრავალ გამოცდის შემდეგ უებარ საშვალებით ალიარებულ ამგ[illegible] მზგავსი, თქვენს მათეს არა ეცოდინება რა. თქვეს ავათმყოფობას ზლაპრულის სისწრაფით გააქრობს ჩემი ფირმის შურიკუდინის აბი. მე მოგართმევ სასინჯავათ სამ აბს და, თუ თქვენც დარწმუნდებით მის სიკეთეში, განაგრძეთ მიღება, სამს დღეს —დღეში სამ-სამი. აბების მიღება ხონში შეგიძლიათ ,,ეშმ. მათრ.‘‘ აგენტ მიტ. გალდავაძესთან.

— დიდი მადლობელი ვიქნები, ბ-ნო აბო, დიდი მადლობელი; აუცილებლათ ვცდი, თორემ ყოველ არჩევნებზე გულის კანკალ-ფრიალმა ლამის დამადნოს ამოდენა ქალი.

ამ დროს სტუმართ მოყვარე დიასახლისმა თერმონიაზე მიგვიპატიჟა და ჩვენი ინტერვიუც შეწყდა.

თქვენი უეშმაკებულესობის მოადგილე ხონში

აბი.

პატარა მესტვირული

ეშმაკო! რა ვქნა არ ვიცი,
საით ვიბრუნო პირია,
ან ვის ვაუწყო დღეს ჩემი
უზომო გასაჭირია.
ვისზედაც სამართლიანათ
ავახმატკბილე სტვირია,
და ვინცა მწვავე მათრახით
შეიქმნა ანაყვირია,
ყველამ წამოყო თავი და
ყველამ ჩამასო კბილია.

—

ბევრი ფეხისა ხმას აყვა,
მით გამიმრავლდა მტერია,
შემომესიენ ყოველ მხრივ
ახალგაზრდა თუ ბერია.
დამიწყეს ლანძღვა-მუქარა
სასტიკ გულ-ანაძგერია.
საბედნიეროთ არა მაქვს
ულვაში, არცა წვერია,
თორემ დღემდისინ, ღმერთმანი
არ შემრჩებოდა ღერია.

—

ასეა ჩემი ცხოვრება
ეშმაკო, ჩემო ბიძია!
და თუ ხანდახან მოხედავ,
მადლი იქნება დიდია.
თორემ დღეს ჩემი სიცოცხლე
სწორედ რომ ბეწვზე ჰკიდია.

ჭაგნელი ბზიკი.

წერილი სოხუმიდან.

ძმაო ეშმაკო!

თუ გახსოვს, დიდი ხანი კია მას შემდეგ, ნარევში ასეთი ცნობა იყო ამერიკიდან.

„ამერიკა—სწერდა გაზეთი, სასწაულების ქვეყანაა. 24 საათში ეკლესიაააშენეს და შიგ სწირეს კიდეც“...

მართალი გითხრა მაშინ ეს სასწაული შემხარბდა და ვიფიქრე, როდის იქნება საქართველოშიაც ამ სიმაღლემდე აახწიოს კულტურამ-მეთქი და გაგიხარიან მე ეს ნატვრა ამისრულდა.

ჩვენ, სუხუმელები, ორ საათში დრამატიულ საზოგადოებას ვაარსებთ და პიესასაც ვთამაშობთ.

არ იფიქრო ვხუმრობდე!

წასულ კვირას აქ დრამატიული საზოგადოების კრება მოხდა. მოვიდნენ, იბაასეს, გამგეობა აირჩიეს და წარმოდგენაც გამართეს.

პიესა სულ ახალია... დრამატიული ლიტერატურის ახალი პრინციპებით დაწერილი.

გაცნობებ მის შინაარსს:

მუშტი-კრივი.

პიესა 1 მოქმ. თხზულება სუხუმლებისა.

ფარდა აიწევა. სცენა ცარიელია. თანდათან ხალხი გროვდება. ირჩევენ თავმჯდომარეს და იმართება კამათი. მსჯელობენ, ლაპარაკობენ... საკითხები ირკვევა. ირჩევენ გამგეობის წევრებს... და რადგან კრების უმრავლესობას სტ. დ. შეადგენს. გამგეობის მთელი შემადგენლობა თითქმის ს. დ. ამ დროს წამოვარდება ფედერალისტი (ამ მსახიობის გვარი ვერ გავიგე) და ამბობს: „ეს უპატიოსნებაა!.. ეს არჩევნები არ არის კანონიერი!“-ო. ამ,

სიტყვებზე ხალხიდან გამოვარდება ს. დ. სტუდენტი ——ლი. —„როგორ თუ შენ ჩვენს მოქმედებას უპატიოსნო უწოდეო და, როგორც ვეფხი ეცემა ფედერალისტს თმაში, ჩაიდებს ფეხ-ქვეშ და დაუწყებს ცემას. მივარდებიან, გააშველებენ... სტუდენტი სცენიდან გაჰყავთ. ნაცემი ფედერალისტი წამოდგება, მტვერს გაიბერტყავს, მივარდება ერთ ს. დ. და დაუწყებს ცემას. ს.ბი რა დაინახავენ ამას, დასცემენ ყიჟინას: ჰკა მაგას! მიცვივდებიან ფედერალისტს და დაუწყებენ ცემას.

ამ დროს საიდამლაც გამოვარდება ერთი ხმალხანჯლიანი. „გაუმარჯოს!“ შეჰყვირებს ნაცემი. თავმჯდომარე ზარს რეკს. ფარდა ეშვება.

ეს არის პიესის შინაარსი. რეცენზიას შემდეგ მოგაწოდებ, მაგრამ აქვე მინდა აღვნიშნო ახალგაზდა მსახიობი, მოკრივე სტუდენტი, რომელსაც დიდი ნიჭი ეტყობა. საჭიროა მისი კურსებზე გაგზავნა.

სულიხუმელი.

დეპეშები.

ფოთი. რადგან შანტაჟისტების მუქარამ, ცეცხლმა და ტყვიების დაშენამაც კი ვერ გასჭრა ს. ქყონიაზე, იმნაძეზე და მოისრაფეშვილზედ (ასე გასინჯეთ ებრაელ ვაჭრებზედაც კი) შანტაჟისტების ნაწილი იძულებული გახდენ „გამოცხადებულიყვენ“ ბ-ნ პოლიცმეისტერთან თავიანთი „გასაჭირის“ ასახსნელათ, პოლიცმეისტერმა მოისმინა რა შანტაჟისტებისა და მათი „შვამავლების“ მოხსენება „ურჩია“ სანამ დანარჩენი წავრები „მობრძანდებოდენ“ პოლიციაში, თქვენ „მოითმინეთ“ ჩვენს ბინაშიო და „გაგზავნა კიდეც ყველანი შესაფერ „სასტუმროში“.

— ამავე „სასტუმროში“ მიიწვიეს „პოსაჟირებმა“ ერთი ადგილობრივი თერძი, რომელიც, ჩოხებს უკერავს თურმე „სასტუმროს“ მდგმურებს და „ზაკაზის“ დამთავრებამდე იქვე რჩება. ამბობენ „სასტუმროში“ უფრო „საპატიო და მთავარ“ წევრებსაც მიიპატიჟებენ „სასტუმროს“ უფროსებიო.

— ბ-ნმა ტყემალაძემ უწინდელ „პრომახის“ გამოსასწორებლათ დამშეულებთან ნება მისცა სხვა და სხვა ადგილებში პურის ფქვილის გატანის ფოთიდან, რომ დამშეული ხალხის „გულშემატკივარ. წარმომადგენლები“ (ვაჭრები) მოემადლიერებია, რის მიზეზითაც ფოთში პური აღარ იშოვნება და თუ იშოვნება (გარდა კოოპერატივისა) ყოველგვარ ნიხრის გარეშე.

თუ შიმშილობა ჩამოვარდა განზრახულია იმ დადგენილების გამოცხობა მეფურნეებისაგან რომლითაც ფქვილების წარმომადგენელი ბ-ნი **კაპეიკინი** ვალდებული იყო უპრავასან ადგილობრივ საყოფი ფქვილი არ გამოლეოდა. პურის სიძვირესთან „ბრძოლის კომიტეტში“ არჩეული არიან ფქვილის წარმომადგენლები და მსხვილი ვაჭრები: ბ.ბ. კაპეიკინი, ლეჟავა, რუხაძე და თოფურიძე. იმედია, პირ ნათლათ შეასრულებენ თავიანთ საქმეს და მოსპობენ სიძვირესთან ბრძოლის საჭიროებას.

— **მარგანეცის მუშებმა** მიიღეს „მოწინავეთა“ წინადადება და დაადგინეს: რადგან ხაზეინები ომის მიზეზით „შევიწროებული“ არიან ნამუშევარი ფულიდან ნახევარი აიღონ და მეორე ნახევარით ხელი მოუმართონ აღებს ომის დამთავრებამდე. რადგან თუ არა მუშების „შორს მჭვრეტელობა“ მრეწველები „ანგებდენ“ თავს წარმოებას ეს პირველი ნაბიჯია ქართველი მუშებისაგან ეროვნულ ბურჟუაზიის „შეგნებულათ“ გაძლიერებისაკენ (თუმცა ხსენებული მწარმოებლები ბერძნები კია) სხვა და სხვა დარგის მუშებმა მიმართა მარგანეცის მუშებს თავიანთ წარმომადგენლების საშვალებით: დაგვავალოს მარგანეცის მუშების ხელმძღვანელებმა სხვა დარგის მუშებსაც და ისე „მოგვიწესრიგოს“ მუშების საქმე, როგორც ეს მარგანეცშიაო. მარგანეცის მუშებმა ყოყმანით უპასუხეს „ვნახოთო“ როგორ ეტყობათ ძლიერ ენანებათ თავიანთი „ბედნიერება“ სხვებსაც გაუზიარონ. ჩვენც ვნახოთ.

— **კოოპერატივის** მოწინააღმდეგე ხმოსანთა შტაბმა თავიანთ ჯარის სარდლობა ცეკვაშვილს ჩამოართვა და მგლოვიარე სარდალს ჯაიანს ჩააბარა. უკანასკნელი არწმუნებს თურმე შტაბს: კოოპერატივის წევრების რკალს გავარღვევო. . ესეც ვნახოთ!

ბუტუნას სააგენტო.

განსაცდელი.

მამა-პაპურ ტახტზე გულალმა ვიყავი წამოწოლილი არხეინათ და ისეთი განცხრომით ვაბოლებდი თამბაქოს, რომ, დარწმუნებული ვარ, რომელსმე ნებიერ ფაშას უფრო ვგავდი, ვიდრე იუმორისტულ ჟურნალის გამხდარ თანამშრომელს.

ან კი რა უნდა მქონოდა სადარდელი?

ჟურნალის მორიგი ნომერი შედგენილათ მეგულებოდა და სხვა საზრუნავი საიმისო არც კი ყოფილა, რომ იმაზე ფიქრით ჩემი ნეტარი ნირვანა დამერღვია.

სწორეთ ამ დროს გაიღო ჩემი ოთახის კარი და ფეხი შემოდგა იმან, ვისი დანახვაც ნიადაგ ნერვებს მიშლის ხოლმე და ვისაც მომავალ ორშაბათამდე არას გზით არ მოველოდი, ერთი სიტყვით—სტამბიდან გამოგზავნილმა კაცმა.

— რა გინდა, ყმაწვილო?—მივაძახე შემოსულს.

— მასალები, ბატონო!

— ხომ არ გაგიჟებულხარ? რის მასალები? აკი საკმაოზე მეტი გავგზავნე!

— ცენზორმა თქვენი წერილი სულ დაიჭირა, თეოფილემ (ჩვენი მეტრანპაჟი გახლავთ) ყველა განცხადებები ჩაჰყარა, მაგრამ ერთი გვერდი მაინც აკლია. ეხლავე უნდა გამატანოთ, ბატონო!

ეხლა კი ნებიერ ფაშას აღარ ვგავდი. ეხლა ვგავდი... მაგრამ ვის უნდა შევადარო ცენზორის გან შეურაცყოფილი და გაბრაზებული ჟურნალისტი?

ვეფხვივით წამოვარდი ზეზე, ერთი ლაზათიანათ მევუკურთხე ჩვენს ცენზორს, დავჯექი და დავწერე მემდეგი:

„განსაცდელი.

მამა-პაპურ ტახტზე გულალმა ვიყავი წამოწოლილი არხეინათ და ისეთი განცხრომით ვაბოლებდი თამბაქოს, რომ, დარწმუნებული ვარ, რომელსამე ნებიერ ფაშას უფრო ვგავდი, ვიდრე იუმორისტულ ჟურნალის გამხდარ თანამშრომელს.

ან კი რა უნდა მქონოდა სადარდელი?

ჟურნალის მორიგი ნომერი შედგენილათ მეგულებოდა და სხვა საზრუნავი საიმისო არც კი იყო, რომ იმაზე ფიქრით ჩემი ნეტარი ნირვანა დამერღვია.

სწორეთ ამ დროს გაიღო ჩემი ოთახის კარი და ფეხი შემოდგა იმან, ვისი დანახვაც ნიადაგ ნერვებს მიშლის ხოლმე და ვისაც მომავალ ორშაბათამდე არასგზით არ მოველოდი, ერთი სიტყვით სტამბიდან გამოგზავნილმა კაცმა.

— რა გინდა, ყმაწვილო?—მივაძახე შემოსულს.

— მასალები, ბატონო!

— ხომ არ გაგიჟებულხარ? რის მასალები? აკი საკმაოზე მეტი გავგზავნე!

— ცენზორმა თქვენი წერილი სულ დაიჭირა, თეოფილემ (ჩვენი მენტრანპაჟი გახლავთ) ყველა განცხადებები ჩაჰყარა, მაგრამ ერთი გვერდი მაინც აკლია. ეხლავე უნდა გამატანოთ, ბატონო!

ეხლა კი ნებიერ ფაშას აღარ ვგავდი! ეხლა ვგავდი... მაგრამ ვის უნდა შევადარო ცენზორისაგან შეურაცხყოფილი და გაბრაზებული ჟურნალისტი?

ვეფხვივით წამოვარდი ზეზე, ერთი ლაზათიანათ შეუკურთხე ჩვენს ცენზორს, დავჯექი და დავწერე შემდეგი:

„განსაცდელი.

მამა-პაპურ ტახტზე გულალმა ვიყავი წამოწოლილი არხეინათ და ისეთი...

მაგრამ, კმარა! ერთი გვერდის მასალა შესრულდა კიდეც და ნომერი მზათ არის. თუ თავი შეგაწყინეთ, ცენზორს დააბრალეთ, და მე კი მადლობა მითხარით, რომ ბოლომდის არ გიამბეთ, რაც იმ განსაცდელის დროს დავწერე.

ეხლა კი სტამბაში გავგზავნოთ!

ნაბუქოდონოსორ.



სიმვირე თბილისში

ჩვენი ვაჭრები თავიანთ მუშტარ ქალებს მართალია კარგ საკაბეებს ჰყიდიან, მაგრამ სამაგიეროთ ტანზე ყველაფერსა ხდიან და ლამის ტყავიც დაატოვებინონ მაღაზიაში.

იყიდება გასული წლების ჟურნალები:

1) „ეშმაკის მათრახი“ 1908 წ. 34 ნომერი 3 მ. 50 კ.

2) „ეშმ. მათრახი“ —1909 წ. 34 ნომერი 3 მ. 50 კ.

ორივე წიგნი ერთად მშვენიერი ყდით ეღირება—9 მან.

3) „მათრახი“ 1910 წლის 33 ნომერი—3 მ. 50 კ.

4) „ალმანახები“ 1909 წლის 10 ნომერი—50 კ.

პროვინციაში მსურველთ გაეგზავნება ჩვენის ხარჯით ვინც წინ და წინ გამოგზავნის ფულს ან ფასდადებით გაიწერს.

ადრესი: Тифлисъ, Типографія Шрома, Теофилу Болквадзе.

ნებადართულია სამხ. ცენზ. სტამბა „შრომა“. რედაქ-გამომც. თ. ბოლქვაძე